189/2.
1924 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით  კვირა, 1 ივნისი 1924 წ.  წელიწადი მეოთხე  ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი მხედარი

№ 513 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც· ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## განცხადება.

ორშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალოვის სახელობის) დანიშნულია თბილისის საბჭოს სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. შინა—ვაჭრობის მოწესრიგების საკითხი თბილისში და მის მაზრაში. მომხ. ამხ. **ს. ჯუღელი**
2. სექციების მუშაობის შესახებ მომხსენებელი ამხ. ა. **რუხაძე.**
3. მიმდინარე კითხვები.

საბჭოს ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

**პრეზიდიუმი.**

## ნუ გასწყვეტთ კავშირს გაზეთთან.

ახლოვდება საბანაკო პერიოდი.

კიდევ რამოდენიმე დღე და ჩვენი ჯარის ნაწილები გაეშურებიან თავ თავიანთ აგარაკებისაკენ. დაშხულ, დახუთულ ყაზარმებიდან ისინი გავლენ ბანაკათ სოფლად, სადაც სუფთა ჰაერზე, ბუნების წიაღში მათ უნდა განვლონ სათანადო კურსი სამხედრო მეცადინეობისა.

საბანაკო პერიოდი მეტად მნიშვნელოვანია წითელი ჯარის ცხოვრებაში. ამ დროს იწვრთნება ახალგაზრდა წითელ-არმიელი და ღებულობს საჭირო სამხედრო ცოდნას.

მაგრამ არა მარტო ამ მხრივ ღირსშესანიშნავია წითელი ჯარის ბანაკათ გასვლა. მას აქვს აგრეთვე დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა.

ბანაკობის დროს წითელი ჯარი უშუალოდ უკავშირდება სოფლის ცხოვრებას. აქ ის ფართედ შლის თავის კულტურულ-განმანათლებელ აპარატს და ახორციელებს კულტურულ შეფობას სოფელზე. მართავს მოხსენებებს და წარმოდგენებს; აწვდის გაზეთებს, ლიტერატურას, და ზოგ შემთხვევაშიც ეხმარება გლეხს განსაკუთრებით ქვრივ-ობლებს მოსავლის მოწევაში.

ასეთია საერთოდ წითელ ჯარის მუშაობა ბანაკობის დროს. ამ დროს მისი ცხოვრება ასე ვსთქვათ, სდუღს და გადადუღს.

ამიტომ ამ მომენტში, როგორც არას დროს, ისე საჭიროა ჯარის ნაწილების მჭიდრო კავშირი ჩვენ გაზეთთან. გაზეთმა სავსებით უნდა დასახოს ჩვენი ჯარის საზაფხულო მუშაობა, მისი ყოფა—ცხოვრება ბანაკად. ეს გარემოება კარგად უნდა დაიმახსოვრონ უპირველეს ყოვლისა ჩვენმა სამხკორებმა და წითელ-მოლაშქრეებმა, რომ არ განმეორდეს შარშანდელი ისტორია, როდესაც ზემოთ-აღნიშნული კავშირი მეტად სუსტი იყო და ძალზედ მოიკოჭლებდა.

ზედმეტი არ იქნება ასეთივე მოვაგონოთ ჩვენს უფროსთა შემადგენლობას, რომლებმაც სრულიად არ გაგვიზიარეს შარშანდელი ბანაკობის სამხედრო მეცადინეობის გამოცდილება და ნაყოფი.

წრეულს კი ეს მათ აუცილებლად უნდა შეასრულონ.

ყოველი ახალი დაკვირვება, ახალი აზრი, რომელიც ეხება ჩვენი წითელი ჯარის ბრძოლის უნარიანობის აწევას უნდა გაშუქებულ იქნას „წითელ-არმიელში“.

ყოველივე ეს საჭიროა ჩვენი წითელი ჯარის განმტკიცებისათვის! ამისათვის კი საჭიროა ყველა უფ. შემადგენლობამ, პოლიტმომუშავეებმა, სამხკორებმა, წითელ-არმიელებმა იქონიონ მჭიდრო, მტკიცე კავშირი ჩვენს გაზეთთან.

## იაპონია და ამერიკის კონფლიქტი.

შეერთებულ შტატების მთავრობის წრეებში დიდი „უხერხულობა“ გამოიწვია იაპონიის საპროტესტო ნოტამ. პრეზიდენტი და სახელმწიფო დეპარტამენტი შეეცდება დაარწმუნოს იაპონია, რომ გამოსახლების კანონი არ შეიცავს მტრულ განწყობილებას იაპონიისადმი.

## ამერიკა ადიდებს სამხედრო ფლოტს.

შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა კანონ-პროექტი, რომელშიაც გათვალისწინებულია 8 კრეისერის გაკეთება და 6 კრეისერის გადაკეთება, რაიც იწვევს ხარჯებს—11 მილიარდ დოლარამდი.

## გერმანიის ახალი კაბინეტის შარშემო.

### მარჯვნით იხრება.

გაზეთების ცნობით მარქსისა და გერგტის მთავრობაში შევლენ შემდეგი ნაციონალისტები: გერგტი—ვიცე-კანცლერად და შინაგან საქმეთა მინისტრად, შილე-მომარაგების მინისტრად, რადოვიცი—საგარეო საქმეთა მინისტრად.

მაგრამ სახალხო პარტიას არ სურს შტრეზემანის დამარცხება, რომლის დღეები, საზოგადოების აზრით, დათვლილია. რეიხსტაგის თავმჯდომარის არჩევა აშკარავებს მარჯვნისაკენ გადახვევას. სახალხო პარტიის ფრაქციამ შეიტანა წინადადება ვეიმარის კონსტიტუციის შეცვლის შესახებ რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი: შავი-თეთრი-წითელი სახელმწიფო ფლაგის დაწესება, საარჩევნებო ასაკის უფლების გადიდება 20-დან 25 წლამდი, კონსტიტუციის იმ ნაწილის გადასინჯვა, რომელიც ეხება ცენტრალურ მთავრობის და ცალკე მთავრობებს შორის ურთიერთობას.

დემოკრატები აცხადებენ, რომ მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ძლიერ ოპოზიციას, რომელიც იმყოფება შიგნით.

## სინამდვილეს თვალს არიდებენ.

მიუნხენის სასამართლოს გადაეცა 62 რეიხსტაგის დეპუტატი, რომელთაც ბრალად ედებათ მუშაობა „აკრძალულ პარტიაში“.

## გერმანია-საბჭოთა კონფლიქტი.

ვოლფის სააგენტო კრასინის სტატიის გამო მე-13-ტე ყრილობაზე, მიუთითებს, რომ გერმანიის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამდა რაპალოს ხელშეკრულების დარღვევის გამო. რომ სსრკ—ს დაეგმო გერმანიის ინტერესების შელახვა, ამის ნაცვლად-ნათქვამია ცნობაში—საბჭოთა მთავრობას სურს წამოაყენოს გერმანიის პოლიტიკის იარაღათ ცენგარდტი და ლემანი.

### თავს იმუშავებენ.

„ბერლინერ ტაგებლატი“ სცდილობს გაამართლოს კრასინის განცხადება, რომ გერმანია იზარალებს კონფლიქტით, ვინაიდან საბჭოთა-გერმანიის გარიგებები ამზადებდა დაკვეთების მცირე ნაწილს შედარებით ომამდე არსებულ დაკვეთებისა.

„დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-ი იუწყება, რომ სავაჭრო წრეების აზრით კონფლიქტი განელდა, ვინაიდან საბჭ. მთავრობამ განაცხადა, რომ ექსტერიტორიალობის საკითხი გადადებულ იქნება სავაჭრო ხელშეკრულების დადებამდი.

## ინგლის-საბჭ. კონფერენცია

### არა შეღავათი, არამედ აუცილებლობა

მუშათა პარტიის აღმასკომის წევრი გეტჩინსტონი მოითხოვს, რათა გავრცელებულ იქნას აქტი სსრკ-ს საექსპორტო კრედიტზე და აგრეთვე მიენიჭოს მთავრობას გარანტია სსრ-ს სესხს. ქვევით გეტჩინსტონი ამბობს, რომ საბჭოთა დაკვეთების მისაღებად ინგლისის მთავრობამ დასტური უნდა მიიღოს პარლამენტისა-მთავრობის სესხის შესახებ.

## რუმინეთი და საბჭოთა კავშირი

### სხვისი უბედურობით სარგებლობენ.

რუმინეთის ნავთსადგურ მანგალიის ახლოს საბჭოთა გემმა განიცადა ავარია. მატროსები დააპატიმრეს, როგორც „ბოლშევიკური აგიტატორები“ და გაგზავნეს ბუქარესტში.

### ეშინიათ დამოუკიდებელ მოქმედების.

მცირე ანტანტის კონფერენციაზე გაირჩევა მცირე ანტანტის წევრთა ურთიერთობის, სარეპარაციო საკითხები, საკითხი სსრკ-ს დამოკიდებულებისა დიდ სახელმწიფოებთან და ბესარაბიის საკითხი.

ბელგრადში ფიქრობენ, რომ ჩეხო-სლოვაკია წინადადებას შეიტანს სსრკ-ს საჩქაროდ ცნობის შესახებ, ხოლო სამხრეთ-სლავია და რუმინეთი დაუცდის დიდ სახელმწიფოთა სსრკ-სთან მოლაპარაკების შედეგებს.

## აფეთქებამ დიდი ზარალი გამოიწვია

აფეთქებამ ბუქარესტში დიდი თავზარი დასცა მოსახლეობას. დაზარალებული მცხოვრებლები 2 მილის რადიუსზე იძულებული შეიქნენ გადასახლებულიყვნენ, რათა თავიდან აეცილებიათ გაზების მავნებელი მოქმედება. მეფე ფერდინანდი, რომელიც იმყოფებოდა ოჯახობით ქალაქის განაპირა სასახლეში, იძულებული გახდა თავი შეეფარებია ქალაქის სასახლეში. საწყობში იმყოფებოდა დიდძალი ყუმბარები, მათ რიცხვში 12.000 ხელით სასროლი ბომბები. ზარალის საერთო ჯამი უდრის 2 მილიონ რუმინულ ლეის.

როგორც გამოირკვა აფეთქება გამოიწვია ორთქლმავალის ნაპერწკალმა.

## რადიო ყოველ მხრიდან

### ინგლისი და კოლონიები.

**მოთმინების ფიალა აივსო.**

საარჩევნო კომპანია სამხრეთ აფრიკაში დიდი მღელვარებით ტარდება. ქალაქ ბენონის მიტინგზე არ ალაპარაკეს თავდაცვის მინისტრი ბენონი და აიძულეს ის ძალადობის მუქარით დაეტოვებია მიტინგი. ბლუფენტონის მუშებმა დაიკავეს ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობა და აურზაურით შეხვდენ მიტინგზე მოსულ სმეტსა და გზათა ყოფილ მინისტრს. სმეტმა დასტოვა მიტინგი.

### ხივაში წყლის კრიზისია.

მდინარე ამუ-დარის კალაპოტის მარჯვნით დაქანების გამო, ხორეზმის ზემო რაიონი სრულიად უწყლოდ დარჩა. მრავალი რაიონის სარწყავი ქსელი გაუქმდა. ტურკმენის რაიონის სამხრეთ ნაწილში მდგომარეობა მეტად მძიმეა.

### უმუშევრობის საკითხი თემთა პალატაში.

**უველა უკმაყოფილოა.**

თემთა პალატაში კონსერვატორებმა ბრალი დასდვეს მთავრობას, რომელმაც არ აასრულა მუშებზე მიცემული პირობა არჩევნების დროს. მაკდონალდმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა მიიღებს კონსერვატორების რეზოლიუციას, ის გაშვებულ იქნება.

ასკვიტმა განაცხადა, რომ ლიბერალები კონსერვატორების წინადადების წინააღმდეგ წავლენ.

წინადადება არ იქნა მიღებული.

### ბრძოლის ახალი მეთოდი უმუშევრობის წინააღმდეგ.

ინგლისის თემთა პალატის კონსერვატორებმა წინადადება შეიტანეს, რათა შრომის მინისტრს შეუმცირდეს ჯამაგირი 100 გირვანქა სტერლინგით, რადგანაც დღემდის არ არის გადაჭრილი უმუშევართა საკითხი. კონსერვატორების წინადადება უარყოფილ იქნა 300 ხმით 250 წინააღმდეგ.

# რუმინეთის ამბები.

## აფეთქება ბუქარესტში.

ბუქარესტის განაპირად აფეთქდა დენთის ქარხანა, პიროტექნიკური სახელოსნოები და სამხედრო მასალის საწყობები. აფეთქდა ყუმბარებიანი ვაგონები. დაინგრა მრავალი სახლი და მეფის სასახლე. მსხვერპლი დიდია. ზარალი რამოდენიმე მილიარდ მანეთს უდრის. ბუქარესტში პანიკაა.

## კვლავ დარბევა.

იასაში რუმინეთის ფაშისტებმა კვლავ გაიმეორეს ებრაელთა დარბევა.

## სსრკ მსოფლიო პოლიტიკის უმთავრესი ფაქტია.

ხორვატის გლეხთა პარტია ცდილობს დაუახლოვდეს სსრკ-ს, ვინაიდან ამ უკანასკნელს ის სთვლის მსოფლიო პოლიტიკის უმთავრეს ფაქტორად.

# საფრანგეთი.

## თავის წინააღმდეგ.

სენის ორგანიზ. სოციალისტურ პარტიის ყრილობამ, რომელიც ემხრობა მეორე ინტერნაციონალს ხმის უმეტესობით წავიდა სოციალისტების მონაწილეობის წინააღმდეგ მთავრობაში.

## რეზოლიუცია მილიერანის გადადგომის შესახებ.

პარიზიდან მიღებულ ცნობით ლუსის რესპუბლიკანურ სოციალისტური ბლოკის დეპარტამენტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ პრეზიდენტ მილიერანის გადადგომას ახალი კაბინეტის შედგენამდე.

## პუანკარეს კაბინეტის გადადგომა.

1-ლ ივნისს პუანკარე გადასცემს პრეზიდენტ მილიერანს კაბინეტის გადადგომის ქაღალდს.

## როკფელერის შემოწირულება.

ამერიკის მილიარდერმა როკფელერმა გადასცა საფრანგეთის მთავრობას ერთი მილ. დოლარი რეინის ტაძრისა, ფონტენებლოს და ვერსალის სასახლეების აღსადგენად.

# საბჭოთა კავშირში.

## საჩუქარი წითელ არმიას.

რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის—ამხ. ტროცკის ხელმოწერით გამოვიდა ბრძანება, რათა 1-ლ ივნისიდან ჩარიცხულ იქნას საჰაერო ფლოტის რიგებში „ლენინი“: ბრძანებაში მადლობა ეცხადება „ფლოტის მეგობრებს“ საჩუქრისათვის.

## ძმური ხელი.

გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ვლადიმირის მუშებმა შეკრიბეს 4.000 მანეთი.

## ლენინელები რკპ-ს შეგნებული წევრები იქნებიან.

ლენინის გაწვევის 90 პროცენტმა გაიარა ლენინის სკოლები უკრაინაში.

### ჰაეროლიტის ჩამოვარდნა.

11 მაისს მდინარე იმანზე, სოფელ კარტუნში (ვლადივასტოკის ახლოს) ჩამოვარდა დიდი ჰაეროლიტი, რომელმაც აღგავა გადამთიელთა ბანაკი. ჩამოვარდნის შემდეგ მოისმა სამი ძლიერი აფეთქების ხმა. კარტუნში დიდხანს გაგრძელდა მიწის სუსტი რყევა.

### შემოდგომის ნათესების მდგომარეობა.

ცენტრალურ სტატისტიკურ განყოფილების ანგარიშის მიხედვით, საბჭოთა კავშირის შემოდგომის ნათესების საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

## სინოდი შფოთავს.

ტიხონის შერიგების გამო ცოცხალ ეკლესიასთან, სინოდმა მიმართა სამღვდელოებას მოწოდებით, რომელშიაც კითხულობს: „რას არ ჩაიდენს ამის შემდეგ ტიხონი“ და დარიგებას იძლევა, რათა „დაყენებულ იქნას ეკლესია სწორ გზაზე და ბოლო მოეღოს ყოფილი პატრიარქის უტაქტო მოქმედებას“.

მოწოდებას ხელს აწერს 69 მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი.

# რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-13-ტე ყრილობა.

## 29 მაისის საღამოს სხდომა.

### რკინის გზელთა დელეგაცია.

29 მაისის საღამოს სხდომაზე ბელორუსია—ბალტიის რკინისგზელთა დელეგაციამ მიუძღვნა ყრილობას ორთქმავალის მოდელი, დროშა და მიმართვა. დელეგატი ადამენკო მადლობას სწირავს რუსეთის კომპარტიას, რომელმაც საშუალება მისცა მუშებს კომპარტიის რიგებში შესვლისა.

ლენინელები ღრმად არიან დარწმუნებული ცეკას ხაზის სისწორეში და ფიცს სდებენ, რომ არ გადაუხვევენ ამ გზას.

მხურვალე ტაშ ს ქვეშ ამხ. ზალუცკი მადლობას სწირავს ლენინელ მუშებს და იბარებს დროშას.

## ამხ. მოლოტოვის მოხსენება.

### პარტიულ-ორგანიზაციულ საკითხების შესახებ.

პარტიულ-ორგანიზაციულ საკითხების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მოლოტოვი. მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა ლენინის სახელობის გაწვევა და ამასთან ერთად ის შეჩერდა პარტიულ მუშაობაზე სოფლად და წითელ არმიაზე. მან მოუწოდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება კომუნისტების მუშაობას სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებში. ამხ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ პარტია ამყარებს მეტ იმედებს ლენინის სახელობის წვეულებზე, რომლებიც გაავრცელებენ თავიანთ გავლენას იმ დაწესებულებ., სადაც ისინი იმუშავებენ.

### რკპ—სსრ-ს ბოლშევიკების კომპარტიაა.

ამხ. მოლოტოვმა წინადადება შემოიტანა გადაათქვან რკპ-ს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ბოლშევიკების პარტია.

ამხ. მოლოტოვის მოხსენების გარშემო კამათი გადადის სექციაში.

## ამხ. ბუხარინის მოხსენება.

### ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ.

ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ ამხ. ბუხარინი ახასიათებს კომკავშირის პიონერთა ორგანიზაციას და ამბობს, რომ ეს ამოცანა არის არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ პოლიტიკურიც, ვინაიდან საჭიროა ვიზრუნოთ, რათა გაწვრთნილ იქნას მომავალი წითელი პროფესორ—სპეცები, აღმშენებელნი სოციალისტური საზოგადოებისა. საჭიროა აგრეთვე სათანადოდ იქნას დაყენებული მოზარდთა განათლების საქმე. მაგრამ დღეს პარტია იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ ამ დარგის მუშაობის დიდი მაშტაბის გამო ის ვერ იმორჩილებს იმ უზარმაზარ მასალას, რომლის დამუშავება, როგორც ხელმძღვანელ ძალისა მისთვის აუცილებელია. პარტიამ უნდა მიაქციოს ამ მხრივ გაორკეცებული ყურადღება.

### ყურადღება ბავშვებს.

ამხ. ბუხარინი ეხება მოზარდი თაობის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ არა მარტო ახალ გაზრდობის ორგანიზაციის შესახებ, არამედ ბავშვებზედაც. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ რამდენადაც დაბლა ვეშვებით მცირე წლოვანებისაკენ, იმდენად ენერგიულად უნდა გავაღრმაოდ ჩვენი გავლენა, ვინაიდან ჩვენს წინაშე სდგას პრობლემა—შევქმნად მტკიცე სოციალური საფუძველი მომავალ კაცობრიობის კაპიტალის შესაქმნელად. აი რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

### უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებები.

უმ. სამ. დაწესებულებათა შესახებ ამხ. ბუხარინი ამბობს, რომ უმაღლესი სკოლა სოციალურ შემადგენლობის მხრივ ჩვენ ვერ დავიპყარით. ამ მხრივ ჩვენს წინაშე სდგას ძნელი ამოცანა, მძიმე სადაო საკითხები. რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას, სტიპენდიას იღებს კავშირის სტუდენტობის მხოლოდ 6 პროც. სტუდენტების მატერიალური მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ ისინი მუშაობენ მტვირთავებად, ღამის დარაჯებად და ბარგის გადამზიდავებად. ბევრ მათგანს არ აქვს ბინა. თუ პარტია არ მიიღებს სერიოზულ ზომებს, ჩვენ მივიღებთ არა მოადგილეებს, არამედ სრულიად უვარგისს და მავნე ადამიანებს.

ამას უნდა დავუმატოთ სტუდენტთა დატვირთვა საზოგადოებრივი მუშაობით რომელიც ხელს უშლის მათ მუშაობას.

საჭიროა შეგნება იმისა, რომ არ უნდა დაიტვირთონ ისინი, არამედ უნდა მიეცეს მათ საშვალება ისწავლონ, რისთვისაც გაგზავნილი არიან ისინი სასწავლებლებში.

მეორე ნაკლი ის არის, რომ სწავლების საქმე სავსებით სხვის ხელშია. ამიტომ უნდა მოხდეს კომუნისტ სპეცების მობილიზაცია, სხვაფერ საკითხი გაგვისხლტება ხელიდან.

# ამერიკის და იაპონიის დამოკიდებულების გამწვავება.

ამერიკის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის ძალით იაპონელებს აეკრძალათ ამერიკაში შესვლა. ამ კანონმა გამოიწვია დიდი აღშფოთება იაპონიის მმართველ წრეებში და ფართო საზოგადოებაში. როგორც რადიო იტყობინება იაპონიის ყოველ კუთხეში იმართება საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები ამერიკის წინააღმდეგ. ამასთანავე ერთად ამ ნიადაგზე იაპონიის მთავრობამ ამერიკის დედა ქალაქიდან—ვაშინგტონიდან გაიწვია თავისი ელჩი, რაც ნიშნავს დიპლომატიური კავშირის გაწყვეტას ამ ორ სახელმწიფოთა შორის.

ამრიგად ჩვენ ვდგევართ მწვავე პოლიტიკურ შეტაკების წინაშე ამერიკასა და იაპონიას შორის, რომელიც შესაძლებელია სისხლის მღვრელ ომადაც გადაიქცეს.

რამ გამოიწვია ამერიკის ასეთი მკაცრი ნაბიჯი?

ამერიკა და იაპონია ძველი, დაუძინებელი მტრები არიან ერთმანეთის. სადავო მათ მეტად ბევრი აქვთ.

როგორც ამერიკის იმპერიალიზმი ისე იაპონიის მისწრაფვის გახდეს სრული ბატონ-პატრონი წყნარ ოკეანეზე.

ორივე მათგანი ღრმად დაინტერესებულია ხელში ჩაიგდოს ჩინეთის ეკონომიური სიმდიდრეები, როგორც ქვანახშირი და რკინაა და მით მოიხვეჭოს ბატონობა მთელ მსოფლიო ბაზარზე.

ამასთანავე ერთად იაპონია თავისი ტერიტორიით პატარა ქვეყანაა, ხოლო მოსახლეობა კი მასში დიდია. მიწის სივიწროვის გამო ხდება ხშირი გადასახლება იაპონიიდან სხვა ქვეყნებში და კერძოდ ამერიკაში. იაპონიის იმპერიალიზმი, რომელიც მიილტვის დაიპყროს ახალი ბაზრები და მდიდარი მიწები, მეტად სარგებლობს ამ გარემოებით და ეწევა ყაჩაღურ მტაცებელ პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში. მაგალითად ის შეიჭრა კორეიაში და დაიმორჩილა ის. დაიპყრო აგრეთვე თეთრგვარდიელების კურთხევით ჩვენი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნაწილი-სახალინი. ასეთივეს სჩადის ის ჩინეთის მიმართ.

ამ შემთხვევაში მას არ ჩამორჩა არც ამერიკა, რომლის კაპიტალი საგრძნობლად შეიჭრა ჩინეთში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მარტო ჩინეთის ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ ის საგარეო და შინაურ პოლიტიკაშიაც.

ზემოხსენებულიდან აშკარა და ნათელია, რომ ადრე თუ გვიან იაპონიასა და ამერიკას შორის შეიარაღებული შეტაკება აუცილებელია, რადგან მათი ინტერესები რაც დღე მიდის მით უფრო შეურიგებელი ხდება.

ორივე მხარე გამალებით ადიდებს თავის შეიარაღებულ ძალებს, როგორც ზღვაზე ისე ჰაერში. შარშანდელმა საშინელმა მიწის ძვრამ სანახევროდ გაანადგურა იაპონიის სამხედრო ძალა და საგრძნობლად დასწია უკან იაპონიის სახელმწიფო მეურნეობა.

ამით სარგებლობს ამერიკა და სცემს ისეთ კანონს, რომლითაც დიდათ ავიწროებს იაპონელებს, რომლებიც ათასობით შემოდიოდენ ამერიკაში და პოულობდენ სამუშაოს.

ამერიკის ახალი კანონი უფრო ამწვავებს იაპონიის შინაურ მდგომარეობას, უმთავრესად ის მძიმედ აწვება იაპონიის მუშებს, რომლებსაც ძალზე უმცირდება სამუშაო ქირა. იაპონიის იმპერიალიზმი, როგორც სჩანს ძალზე გაბრაზებულია ამერიკის თავხედობით არა იმიტომ, რომ ეს იაპონიის მუშებს დააწვება მძიმე ლოდათ თავზე, არამედ ამაში ის ხედავს თავის შეურაცყოფას. ძნელია წინასწარ იმის თქმა რით დამთავრდება ეს კონფლიქტი.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გაკვეთილი აიძულებს იაპონიას შესცვალოს თავის მტრული პოლიტიკა ჩვენდამი და იქონიოს მეზობლური დამოკიდებულება ჩვენთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## წითელი ჯარისკენ—ყაზარმა ჩვენი სკოლაა.

28 მაისს მე-9-რე პოლკში ჩატარებულ იქნა საღამო, რომელსაც გარდა ადგილობრივი წითელ-არმიელებისა, დაესწრო რაიონის მუშები და ახალგაზრდა კომკავშირლები.

შესავალი სიტყვით გამოვიდა ამავე პოლკის კლუბის უფროსი ამხ. ერმაკოვი. მან გააშუქა ახალწვეულთა შორის აგიტ-კომპანიის მნიშვნელობა, შეეხო წითელ ჯარს, და დაახასიათა ის როგორც მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მტკიცე დარაჯი და ცოდნის შეძენის მსურველნი დამსწრენი აღფრთოვანებით ეგებებიან ორატორს, და სურვილს გამოსთქვამენ გაეშურონ წ. ჯარის რიგებისაკენ, სადაც შეისწავლიან ყველაფერს, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

შემდეგ დაიდგა (რუსულ ენაზე) „შემოდგომის ბუდე“, ორ მოქმედებიანი პიესა და „ნაწყვეტი“-წითელ არმიის ისტორიიდან—ერთ მოქმედებად.

საღამოს საზეიმო ხასიათი ჰქონდა.

### ჯარის რიგებში მიღების სურვილი დიდია.

29 მაისს აღნიშნულმა კომისიამ გადასწყვიტა მე-6 და მე-7 სამილიციო რაიონების ახალწვეულნი გამოცხადებულიყვნენ 30 მაისს, დილის 6 საათზე.

ამავე დღეს, აღნიშნულ რაიონებში, მესამე რაიონის რწმუნებულ, ამხ. სიხარულიძის მიერ, მოხდენილ იქნა განკარგულება, რათა მე-6 და მე-7 უბნების ახალწვეულნი, რიცხვით 200 კაცი შეგროვილიყვნენ მე-7 უბნის სამმართველოს ეზოში, დილის 6 საათზე, საიდანაც, ზეიმის შემდეგ, გაემგზავრებოდენ მიმღებ პუნქტზე.

მეორე დღეს დილის 6 საათზე მრავალმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი ზემოაღნიშნულ ეზოში. ახალგაზრდობას ეტყობოდა დაუზარებელი და შეგნებული მოპყრობა საქმისადმი. ყველა მხიარულებდა და სურვილს გამოსთქვამდენ ჯარში მიღებაზე.

ამხ. რწმუნებულის მიერ დარიგებულ იქნა მოწოდებები ახალწვეულთა შესახებ (რუსულ და ქართულ ენებზე).

7 საათზე გაიხსნა მიტინგი, სადაც გასაწვევთა გარდა ბევრი სხვებიც დაესწრნენ.

სიტყვა სთქვა ამხ. სიხარულიძემ. ხშირად აწყვეტინებდენ აღფრთოვანებული ძახილები.

### თბილისი. მესამე რაიონი.

**წითელი ყაზარმისკენ.**

მესამე რაიონში შექმნილ ახალწვეულთა შორის აგიტ-კომპანიის ჩამტარებელ კომისიის დავალებით, ამხანაგმა ერმაკოვმა (რუსულ ენაზე). ქალაქის სასაკლაოს მუშებში გააკეთა მოხსენება ახალწვეულთა გაწვევის შესახებ, სადაც შეეხო წითელი არმიის მნიშვნელობას საბჭოთა ხელისუფლების საგუშაგოებზე და მასთან დაკავშირებულ სხვა კითხვებსაც, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდენ მუშები და მოუწოდეს ახალგაზრდობას წითელ ყაზარმისაკენ.

### მხიარულად-საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოსაკენ.

ამავე დღეს, ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში გაკეთებულ იქნა მოხსენება, ამავე თემაზე ამხ. თუმანიანის მიერ (სომხურ ენაზე), მოხსენებას დაესწრენ, უმეტესად, ადგილობრივი უბნის მუშები და ახალგაზრდობა, რომელნიც, როგორც ერთი კაცი, მზად არიან გასწიონ წითელ ყაზარმებისაკენ და დადგენ საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოებზე.

მიტინგის გათავების შემდეგ გაემგზავრენ 200 კაცი მიმღებ პუნქტებისაკენ, სადაც დახვდათ ახალწვეული ახალგაზრდობა სხვა რაიონებიდან.

აქაც მოწოდებები, მიტინგი და ფიცი საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ერთგულების შესახებ.

**დამსწრე.**

## სამობილიზაციო აგიტ-კომპანიის ჩატარება.

(ქუთაისის რაიონი).

24 მაისს მესამე ლეგიონის წარმომადგენელნი, მუსიკით და დრამატიული წრის მთელი შემადგენლობით გაემგზავრენ სოფ. წყალტუბოში, სამობილიზაციო აგიტ-კომპანიის ჩასატარებლად.

### მოსახლეობა აღფრთოვანებით გვეგებება.

შუადღის 2 საათია. უკვე მივაღწიეთ სოფელს.

მუსიკა უკრავს მარშს. სოფელი გამოცოცხლდა. მრავალი ხალხი მოგვეგება.

$3\frac{1}{2}$ საათზე გაიხსნა მიტინგი,—ამავე საზოგადოების გლეხკომის თავმჯდომარის და პოლიტ-წრის ხელმძღვანელის, ამხ. ლექვთაძეს თავმჯდომარეობით.

მან გააცნო მიტინგს ჩვენი მისვლის მიზანი.

მოხსენება გააკეთა ცეკას და ქართულ დივიზიის რწმუნებულმა, ამხ. კ. კალანდაძემ, რომელიც დაწვრილებით შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას, საბჭოთა კავშირის მდგომარეობას, კაპიტალისტურ ქვეყნების ჯარებს, მათ აღზრდას და დანიშნულებას; წითელ არმიას, მის აღზრდა-განვითარებას და დანიშნულებას და სხვა.

შემდეგ, მანვე წაუკითხა სამხედრო კომისარიატის განცხადება ახალგაზრდთა გაწვევის წესის შესახებ. შეეხო აგრეთვე ტერიტორიალურ ჯარებს და მათ მნიშვნელობას, ხალხი აღფრთოვანებით ეგებება ამხ. კალანდაძეს. ძლიერი ტაში. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

შემდეგ სიტყვით გამოდის მესამე ლეგიონის საკავშირო ასეულის პოლიტ-ხელი, ამხ. შალვაძე, რომელიც ეხება წითელ ჯარში არსებულ წესებს და პოლიტ-უფ-შემადგენლობის მოპყრობას არმიელებისადმი. კვლავ ტაში და მუსიკა.

### ჩვენ მზადა ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ საბჭოთა მთავრობა.

ამის შემდეგ მიტინგს გამოაქვს რეზოლიუცია სადაც ნათქვამია: „მოვისმინეთ რა საქართველოს ცეკას და ქართულ დივიზიის რწმუნებულის, ამხ. კალანდაძისა, 1902 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის შესახებ, ჩვენი რესპუბლიკების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მოხსენება და გავეცანით მას, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აყვავება, ბურჟუაზიის განიარაღება და გავითვალისწინეთ ისიც, რომ რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების მთავარი იარაღი არის წითელ ჯარის მტკიცე ორგანიზაცია,—ჩვენ, წყალტუბოს თემის მშრომელი გლეხობა, ვიძლევით რევოლიუციონურ ფიცს რომ ყოველთვის მზად ვიქნებით დავიცვათ რევოლიუციის მონაპოვარი, მშრომელი გლეხობის და მუშების საკეთილდღეოდ, და ჩვენი შვილები კი, რომლებიც, დღეს თუ ხვალ, შეავსებენ წითელი ჯარის რიგებს—გაამართლებენ იმ დავალებას რომელსაც მათ დააკისრებს საბჭოთა ხელისუფლება.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას!

გაუმარჯოს წითელ ჯარს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!..

### სამხიარულო საღამო.

საღამოს 8 საათზე გამართულ იქნა მხიარული საღამო, რომელსაც დაესწრო 300-დე კაცი.

დადგმულ იქნა პიესა: „დეზერტირი“ და სამი კომედია, რომელსაც მოჰყვა დივერტისმენტი.

ყველა ნასიამოვნები დარჩა

**ნ. გ.**

## სამხედრო პარტ-სკოლის კურსანტები სააგარაკოთ.

22 მაისს ჩვენი სკოლა გავიდა სააგარაკოთ. მოთავსებული ვართ სოფლებთან ახლოს, ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლასთან ერთად. კმაყოფაზედაც მათთან ვიმყოფებით. მშვენიერი ამწვანებული მინდორი მოფენილია თეთრი კარვებით. იქვე მდინარე. ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრება ბანაკზე გასვლით თითქმის არ შეფერხებულა. მეცადინეობა, ლექციები და სხვა ისევ ისე მიმდინარეობს, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ლექციები იკითხება სუფთა ჰაერზე, ცის ქვეშ.

კარავები კარგად არის მოწყობილი. თითეულში 9 კაცია მოთავსებული. ამ მოკლე ხანში დათავდება ადგილობრივად ოთახების შეკეთება და სწავლასაც ნორმალურად დავიწყებთ. დიდი მუშაობა სწარმოებს წიგნთ-საცავის მოწესრიგების გარშემო, რომელიც ამ მოკლე ხანში შეუდგება ჩვეულებრივ მუშაობას. ჯერ-ჯერობით ჩვენი საზაფხულო მუშაობის სეზონის დასაწყისი დამაკმაყოფილებელია, იმედი გვაქვს, რომ უფრო კარგი შედეგების წინაშე დავდგებით.

**ლ—ი.**

## სანიტარული ამოცანები ტერიტორიალურ დივიზიებში.

ამ უახლოეს დროში ჩვენ წინ დგება მუშაობის ახალი ხაზი ტერიტორიალური ნაწილებში.

სანიტარულ ორგანოებმა აქედანვე უნდა შეიმუშავონ თავის პროგრამები იმ ანგარიშით, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში და მეტი ნაყოფიერობით გადასცენ ტერიტორიალურ დივიზიების ცვალებად შემადგენლობას უსაჭიროესი სანიტარული ცოდნა.

ვღებულობთ რა მხედველობაში ცვალებად შემადგენლობასთან მაცადინეობის მოკლე ვადას, ამისათვის სამუშაო გეგმა უნდა იყოს შედგენილი ისე, რომ პირველ რიგში წითელ-არმიელს შევასწავლოთ ის, რაც მას უპირველეს ყოვლისა გამოადგება ბრძოლის ველზე.

ამიტომ, ტერარმიელს, მისი ჯარის ნაწილში მოკლე ვადით ყოფნის გამო, აუცილებლად გადავცეთ ისეთი საჭირო ცნობები, რომლებიც მათ გამოადგებათ პირველ საექიმო დახმარების აღმოსაჩენად. უნდა ვასწავლოთ ინდივიდუალურ პაკეტის ხმარება, სისხლის შეჩერება და სხვა.

გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ამ საქმისთვის საკმარისია სულ 5—6 საათი. ეს იმდენად მცირე დროა, რომ ამისათვის ყველა იშოვნის თავისუფალ დროს.

მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ მოგვიხდება უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა ამ დარგში. სამხურში ყოფნის დროს მიღებულ სამხედრო, პოლიტიკურ და სანიტარიის ცოდნას ის სოფელში დაბრუნებისას, თავის ცოდნას და გამოცდილებას გადასცემს თავის მეზობელს და ამნაირად ხელს შეუწყობს კულტურის გავრცელებას და სიბნელს მოსპობს.

ჩვენ ვიცით, რომ სოფელში საექიმო საქმე მოიკოჭლებს. ავადმყოფობის დროს ხშირად მიმართავენ სოფლის მკითხავებს და სხვა.

აი სწორედ ამიტომ ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ტერარმიელის გაწვევის მოკლე დროით, რომ ჩავატაროთ მათში უფართოესი მუშაობა სანგანათლების. უნდა ვისარგებლოთ, სამხედრო მაცადინეობის გარეშე, ყოველი თავისუფალი დროით, კლუბებით, კედლის გაზეთებით, აგიტ-მიტინგებით და სხვა. აქ საჭირო არის მეტი აქტივობა, ენერგიულად ხელის მოკიდება და სიყვარული საქმისადმი.

ჩვენ ამ წერილში არ შევჩერდებით ტერარმიელთა შორის სანგანათლების მუშაობის მეთოდებზე—რადგანაც ამას საჭიროა ვუძღვნათ განსაკუთრებული წერილები. ოღონდ უნდა გვახსოვდეს რომ ტერარმიელის სანგანათლება არის კიდევ ერთი ნაბიჯი წინ რესპუბლიკის საერთოდ კულტურის გზაზე მსვლელობაში.

**კოლოდიზნერი.**

## ქართ. დივ. სამხ. ტრიბუნალში.

### ამხანაგების ქონების მიმთვისებელი.

30 მაისს რევტრიბუნალში გაირჩა მეორე ლეგიონის მზვერავთა გუნდის ათის თავის, ვასილ აბულაძის საქმე. მას ბრალდებოდა სახაზინო ქონების მითვისება და გაფლანგვა. გამოძიებამ შემდეგი გამოარკვია: ა. წ. 8 აპრილს, როდესაც წით. არმიელებს უვადო შვებულებაში ითხოვდნენ, ლეგიონის ყაზარმებთან ჩამოყენებულ იყო მატარებლის ვაგონები. ვაგონებში ჩაჯდომა ხდებოდა ძლიერ ნაჩქარევათ და მზვერავთა გუნდის წითელ-არმიელებმა ველარ მოასწრეს მიეღოთ თამბაქო და პაპიროსის ქაღალდი. ამიტომ მათ დაავალეს ათის თავს—აბულაძეს მიეღო ყველას კუთვნილი თამბაქო და დაერიგებია ამხანაგებს შორის.

ბრალდებული აბულაძე ასეც მოიქცა, მაგრამ მან ვერ მოასწრო დაერიგებია ყველასათვის, და რაც გადარჩა თითონ მიითვისა და ნაწილი სხვებზე გაჰყიდა.

აღნიშნული დანაშაულისათვის—ბრალდებულ აბულაძეს მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში მოთავსებით. მაგრამ, რადგანაც დანაშაული პირველად იყო ჩადენილი და თანაც ბრალდებულმა განაცხადა, რომ ამიერიდან იგი არაფერს მსგავსს აღარ ჩაიდენს, ამიტომ ტრიბუნალმა მას შეუცვალა სასჯელი პირობითი სასჯელით ორი წლის ვადით.

# ახალი ამბები

— **რევტრიბუნალში.** ორშაბათს, 2 ივნისს გაირჩევა ცხენოსანთა ლეგიონის მეკუჭნავის კონსტანტინე გელოვანის საქმე, რომელსაც ბრალდება სახაზინო ქონების გაფლანგვა.

— **კოჯორის აგარაკი.** კოჯორის აგარაკი გაიხსნება ამა წლის 15 ივნისიდან.

— **ფიზკულტურა.** ამჟამად ტფილისში მოწყობილია 22 ტანთ-სავარჯიშო წრე, სადაც სწავლობს 1200 კაცი.

— **საბავშო სახლებში.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა საბავშო სახლებიდან გამოსწერონ ყველა ის ბავშები, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 15 წელიწადი და ჩარიცხონ ისინი საფაბრიკო-საქარხნო სკოლების შეგირდებათ.

— **მანგლისში.** მანგლისში არსებული ყველა დარაბები საექსპლოატაციოთ გადაეცა ადგილობრივ აღმასკომს.

— **გზების შესაკეთებლათ.** შინაგან საქ. კომისარიატმა მიმართა ყველა მაზრებს წარმოადგინონ წინასწარი ხარჯთაღრიცხვა გზა-ტკეცილების სამმართველოში მაზრის გზების შესაკეთებლათ.

— **სააბრეშუმო სადგური ხონში.** ი | კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა განიზრახა ხონში მოაწყოს საჩვენებელ-საცდელი სადგური.

— **მუშათა ახალშენები.** ცენტრო აღმშენებლობამ გადასწყვიტა მუშათა ახალშენების მოწყობა მიასწროს შემოდგომამდე. პირველ რიგში ააშენოს 17 სახლი რკინისგზელთათვის.

— **ჩაის ასაკრეფათ.** საქ. სახკომსაბჭომ დაადგინა მიწ.-მოქ. კომისარიატს მიეცეს სესხის სახით ასი ათასი მან. ჩაის ასაკრეფათ.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 30 მაისს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 64 უმუშევარი. ახლათ ჩაეწერა 75.

— **ავტომობილებით მიმოსვლა.** ტფილისის მახლობელ აგარაკებზე მიმოსვლა დაიწყო ავტობუსებით 31 მაისიდან.

— **ლობიოს გატანა საზღვარ-გარეთ.** ცეკავშირის ინიციატივით გადაწყვეტილია მოკლე ხანში გატანილ იქნება საზღვარ გარეთ ლობიოს დიდი პარტია გასაწლდებლათ.

— **საინსტრუქციო კომისია.** შინაგან საქმეთა კომისარიატთან შესდგა საგანგებო საინსტრუქციო კომისია 7 წევრისაგან. კომისიის წევრები გაემგზავრნენ ყველა მაზრებში ადგილობრივ ხელისუფლების სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად თანახმად საქ. საბჭოთა მეორე ყრილობის დადგენილებისა.

— **ცალკე მილიციები.** შ. ს. ს. კ. დაარსა ცალკე მილიციები სამოვართა და სამთომადნო რაიონების დასაცავად.

— **ინსტრუქცია სისხლის სამართლის მილიციისათვის.** შინ. საქ. კომისარიატმა იუსტიციის კომისარიატთან შეთანხმებით შეიმუშავა სისხლის სამართლის დებულების ინსტრუქცია სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციისათვის.

— **სავალდებულო დადგენილება.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა დაადგინა საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალოს ყველა წარმოდგენების, კინოების და სხვა გასართობების ბილეთების ხელზე გაყიდვა. დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული. აღნიშნული დადგენილება ვრცელდება, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში.

# ხელოვნება.

— **მსახიობთა ყრილობა.** ტფილისში მოწვეულია 12 ივნისისათვის სრ. საქართველოს მსახიობთა წლიური ყრილობა.

— **სახალხო თეატრი ქიზიყში.** სოფ. ანაგაში ააშენეს სახალხო თეატრი, რომელიც დაიტევს 500 მაყურებელს, თეატრის საზეიმო გახსნა მოხდება 14 ივნისს.

— **ბორჯომის თეატრი.** ბორჯომში ახალი თეატრის ასაშენებელი ფონდის გასაძლიერებლად ა.-კ. ცამ გადასდო 8 ათასი მან.

# სასოფლო მეურნეობა.

## ბოსტნის მარტივი თესლთა ბრუნვა.

დაწინაურებულ ქვეყნებში თესლთა ბრუნვას დიდ ყურადღებას აქცევენ. ჩვენში კი ეს ჯერჯერობით არ არის ფართოთ შემოღებული და გავრცელებული.

**რა არის თესლთა ბრუნვა?**

ერთი და იმავე მცენარის ყოველწლივ ერთსა და იმავე ადგილას თესვა არ შეიძლება, რადგან მიწა იღლება, იფიტება და მოსავალი კლებულობს.

ავიღოთ მაგალითისთვის კომბოსტო. ამ მცენარეს ნიადაგიდან უმთავრესად აზოტი ამოაქვს, თუმცა მისთვის ცოტ-ცოტა კალიუმი, ფოსფორი სხვა და ნივთიერებაცაა საჭირო.

თუ კომბოსტო ერთსა და იმავე ადგილას რამდენჯერმე მოვიყვანეთ, ნიადაგში აზოტი გამოილევა და მოსავალიც იკლებს. ამას გარდა კომბოსტოს ჰყავს თავისი მავნე მწერები და სოკოები.

როდესაც კომბოსტოს მუდამ ერთ ადგილას ვთესავთ, მაშინ მავნებლები მრავლდებიან.

კომბოსტოს მავნებლები სხვა მცენარეებს ვერ აზიანებენ და თუ იმ ადგილას, სადაც კომბოსტო ეთესა, სხვა მცენარე დავთესეთ, მავნებლები საკვებს ვერ იშოვიან.

ასევეა სხვა მცენარეულობაც.

ყოველ მცენარეს საკვებათ სხვა და სხვა ნივთიერება ესაჭიროება. მაგალითად: ცერცოვანებს ნიადაგიდან ამოაქვთ ფოსფორი და კალი, აზოტს კი, ჰაერიდან ღებულობენ. პურეულებს აზოტი, კალი და სხვა

ამას გარდა, მცენარეები ნაკელის (გაპოხიერების) მოთხოვნილების მხრივ იყოფიან სამ ჯგუფათ: 1) მცენარეები, რომლებიც კარგათ ხარობენ ახალ მონაკელებულ მიწაზე, — მაგ.: კომბოსტო, სალათა, პრასა, ბადრიჯანი და სხ.

2) მცენარეები, რომლებიც ამჯობინებენ ორი-სამი წლის წინად მონაკელებული მიწას, მაგ.: ხახვი, ბოლოკი, კარტოფილი, კიტრი, პიმპილი, ნიორი და სხ.

3) დანარჩენი მცენარეები კარგათ ხარობენ ძველ მონაკელებულ (სამიხუთი წლის წინ) ან მოუნაკელებელ მიწაზედაც: მუხუდო, ლობიო, ცერცვი და სხ.

ამისათვის საჭიროა შემოვიღოთ თესლთა ბრუნვა. მთელი ბოსტანი უნდა დავყოთ რამოდენიმე ნაწილათ იმის მიხედვით თუ რამდენნაირ ბოსტნეულის დათესვა გვინდა. მონაკელებულ მიწის მოყვარულ მცენარეების შემდეგ (იმავე ადგილას) ნაკელი უფრო ნაკლებ მოყვარული მცენარეები უნდა მოვაქციოთ და ბოლომდე ასე.

არსებობს მრავალი სხვა და სხვანაირი თესლთა ბრუნვა.

ყოველ კუთხეს თავის ბუნებრივ პირობების მიხედვით თავისებური თესლთა ბრუნვა ესაჭიროება. ჩვენ კი მაგალითისათვის მოვიყვანთ ყველაზე უფრო მარტივ სამწლიან თესლთა ცვლის ნიმუშს:

პირველი წელიწადი.

1 ნაკვეთი. მონაკელებული ნიადაგი. კომბოსტო, სალათა, ბადრიჯანი, პრასა და სხ.

მეორე წელიწადი:

2 ნაკვეთი. კარტოფილი, კიტრი, პიმპილა, გოგრა, ნიორი და სხ.

მესამე წელიწადი:

3 ნაკვეთი. ხახვი, მუხუდო, ლობიო, სტაფილო და სხ.

შემდეგ წელიწადს მეორე ნაკვეთის მცენარეები პირველ ნაკვეთში მოხვდებიან, მესამეს მეორეში და ასე. მეოთხე წელიწადს პირვანდელ ადგილს დაიჭერენ.

**მეურნე.**

# სამხედრო საქმე

## შხამიან აირების დამზადება ფარსულში

ქიმიური ომი მოითხოვს ქიმიურ ნივთიერებათა დიდ მარაგს. თუ რა ბუმბერაზი ენერგიისა და აუარებელ მასალის დახარჯვა დასჭირდათ იმ სახელმწიფოებს, რომელთაც საკუთარი ქიმიური მრეწველობა ნაკლებათ ჰქონდათ, გვიჩვენებს შემდეგი მაგალითები.

1915 წელს საფრანგეთში სითხე ქლორის დასამზადებელი არც ერთი ქარხანა არ არსებობდა. როგორც ქლორს ისევე ბრომსაც გერმანიიდან ღებულობდენ. ომის დროს მოწყობილი იყო შვიდი ქარხანა ქლორის დამზადებისათვის, რომელსაც იღებდენ საჭმელის მარილისაგან ელექტრონის საშუალებით, შემდეგში კიდევ გამოყოფილი იყო დენთის ქარხნებიდან ოთხი, ქიმიურ წარმოების საჭიროებისათვის. ამ ქარხნებმა დაამზადეს 23,900 ტონა (ტონა = ფუთს) ქლორი, ამ რიცხვიდან 12.500 ტონა სითხე ქლორი და 11.400 ტონა ქლორის კირის სახით იპრიტთან (ხარდალის აირს დაერქვა ეს სახელი, ვინაიდან გერმანელებმა იგი პირველად მოიხმარეს მდ. იპრთან 1917 წელს 12 ივლისს) საბრძოლველად. ორი თვის განმავლობაში მოწყობილი იყო ქარხანა ტუნისში (აფრიკაშია, საფრანგეთის კოლონია), რომელმაც 856 ტონა ბრომი მიაწოდა საფრანგეთის არმიას. ამას გარდა საფრანგეთში იყო 20.000 ტონამდე სხვა და სხვა შხამიანი აირები. იპრიტი (ხარდალის აირი) 1918 წ. შვიდი თვის განმავლობაში 200 ტონი იქმნა დამზადებული, ამასთან ოქტომბერში ამ რიცხვიდან 510 ტონა იყო დამზადებული, და საერთოდ ყოველთვიურად იზრდებოდა მისი წარმოება. გერმანელები დარწმუნებული იყვნენ, რომ მოკავშირენი ხარდალის აირს ვერ დაამზადებდენ და გერმანიის სარდლობა არწმუნებდა თავის ჯარს ამაში. მართლაც და თითქმის ათი თვე მოუნდა საფრანგეთს, მას შემდეგ რაც იგი პირველად იხმარეს გერმანელებმა, ამ ნივთიერების წარმოების ორგანიზაციის მოწყობას და მხოლოდ 1918 წელს მაისში ფრანგებმა უპასუხეს გერმანელებს იმავე საშინელი იარაღით, რომლითაც ისინი მოკავშირეთ უმასპინძლებოდენ, რამაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზედ.

მოკავშირეებმა, მიაქციეს რა ყურადღება სამხედრო ქიმიურ მრეწველობის განვითარებას, მით თავისი თავი უზრუნველჰყვეს გამარჯვებისათვის.

საფრანგეთში ომის განმავლობაში იყო დამზადებული 13.190.000 ქიმიური ჭურვი 75 მ. მ. ზარბაზნებისათვის, 3.930.000—დიდ ყალიბიან ზარბაზნებისათვის და 1.400.000—ხელის ქიმიური გრანატა, გერმანელებმა დაამზადეს 50.000 ტონა „საბრძოლო აირი“, ქლორის ჩაუთვლელად, ამ რიცხვიდან 9000 ტონა იპრიტი. ამ მომწამლავ ნივთიერებათა შორის ორი უმთავრესი აირი დარჩა ომის ბოლოში პირველ ადგილას: ფოსგენი, როგორც წარმომადგენელი ამქროლავ ნივთიერებისა და იპრიტი, როგორც ხანგრძლივ მოქმედების საშუალებისა.

**გ. ბ—შვილი.**

# მეცნიერება და ტექნიკა

## საკვერცხეს გადასმა და ორსულობა.

ქირურგიული მეცნიერება ამ უკანასკნელ ხანებში მრავალ საკვირველებათ წინაშე გვაყენებს. ერთ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ამ უკანასკნელ ხანებში საკვერცხეს გადასმისა და ორსულობის შესახებ მოხდენილი ცდები, მით უმეტეს ეს ცდები გამარჯვებით დაგვირგვინდა. ერთ ერთ ბერლინელ ჟურნალში ექიმ ზიპელს მოთავსებული აქვს წერილი, სადაც აღწერს ქალის მუცლის სიღრუეში საკვერცხის გადასმის შესახებ ეს შეეხება მეორე სქესის ისეთ წარმომადგენლებს, რომლებსაც ცუდათ აქვთ განვითარებული საშვილოსნო და არ უმწიფდებათ შთამომავლობისათვის საჭირო თესლი. საკვერცხის გადასმა შეიძლება მხოლოდ 20—30 წლის დედაკაცში. მუცლის სიღრუეში გადასმული საკვერცხე ისეთი ენერგიული გამოდგა, რომ პაციენტკას დაეწყო რეგულიარულად თვიური და ჩქარა შემჩნეული იქნა აგრეთვე დაორსულების ნიშნებიც.

## ახალი საშვალება უმადობის წინაალმდეგ.

ერთი შესანიშნავი და საყურადღებო მიღწევა არის კიდევ უმადობის წინააღმდეგ ახალი საშვალების აღმოჩენა. აღმოჩენა ეკუთვნის ბერლინის კლინიკის ლაბორატორიაში მომუშავე ექიმ ტიბერიუს რაიტერს. ეს არის საფარისებურ ჯირკვლისაგან დამზადებული გარმონი. აღნიშნულ პრეპარატს უწოდა მან ტიროკსინი. აპარატის გამოყენებამ საუცხოვო შედეგები მოიტანა. გამოსცადეს როგორც—ცხოველებზე ისე ადამიანებზედაც.

## ამერიკელი სტატისტიკა ავტომობილებზე.

ამერიკაში გამოაცხადეს სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ავტომობილი ითვლებოდა ხმარებაში გასული წლის დამლევამდე მთელი მსოფლიოში. სტატისტიკა აღნიშნავს რომ სულ ყოფილა მთელ მსოფლიოში 18.241.477 ავტომობილები. ამერიკის შეერთებულ შტატებზე მთელ ამ რიცხვიდან მოდის 83 პროც. გასულ წელში რეგისტრაციაში გატარებულ ავტომობილთა რიცხვი შეერთებულ შტატებში გაზრდილა 23,8 პროც. ხოლო სხვა დანარჩენ ქვეყნებში კი 27 პროც. 639,728 ავტომობილებიდან, რომლებიც მიემატა გასულ წელში სხვა დანარჩენ ქვეყნებს 328000 ამერიკაში დამზადებულია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი ავტომობილი მოდის 7,3 მცხოვრებზე, კალიფორნიაში კი 3,5 მცხ. გასულ წელში შეერთებულ შტატებში დაუმზადებიათ 4.012,850 ავტომობ. უმრავლესობა მათგანი მეტად იაფი ღირებულებისაა. 97 პროც. ღირდა 2.000 დოლარზე ნაკლები. 81 პროც. კი 1.000 დოლარზე ნაკლები. ესენი უმთავრესად ფორდის ავტომობილებია. ფორდის ქარხნებმა დაამზადეს მთელი ავტომობილების ნახევარზე მეტი. ფორდი იტყობინება, რომ 23 წელში მას დაუმზადებია 2,2000,682 ავტომობილი. საინტერესოა აგრეთვე მოპარულ ავტომობილების რიცხვი. გასულ წელში შეერთებულ შტატებში მოპარულა სულ 39.612 ავტომობილები.

**შეიხ.**


ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

„კრასნაია ზვეზდა“-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 9 თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული— ალბომი „დიადი საფლავთან“** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.